ვაჟა-ფშაველას ,,ხმელ წიფელში დააკვირდით „ადგილის დედის“ ეპიზოდს, ზმნები გადაიყვანეთ პირველ პირში და გადმოეცით ეს ადგილი იმგვარად, თითქოს ხმელი წიფელი ჰყვება ამ ამბავს

LIVEWORKSHEETS

მხოლოდ ზამთრობით, როცა თითონაც შემოეძარცვებათ ხოლმე საპატარძლო ტანისამოსი და, ცოტად თუ ბევრად, დაუახლოვდებიან სიხმელეს და დაემსგავსებიან ხმელს წიფელს, მაშინ თუ შეაცქერდებიან, ისიც გაკვრით... ეს მოხდება სწორედ მაშინ, როდესაც პირბადრი, სახენათელი, თმაგაშლილი "ადგილის დედა" ბუნების სანუგეშოდ სიყვარულზე, სიწმინდეზე და სიცოცხლეზე ზღაპარს უამბობს. მაშინ შეუბუზღუნებენ ხმელს წიფელს: "რას გაშტერებულხარ, საწყალო? ყური დაუგდე, დედა რას ამბობსო!".

ხმელი წიფელი ამოიკვნესებს ღრმა კვნესით და არც ავად, არც კარგად ყურს არ ათხოვებს ამ ამაყ მცენარეთ, მაგრამ "ადგილის დედის" ზღაპარს-კი ყურს უგდებს; თითოეული მისი სიტყვა ლახვარივით გულზე ესობა და უჩუმრად ცრემლსა ჰღვრის.

LIVEWORKSHEETS

უპასუხეთ კითხვებს:

- რა შეიცვალა თხრობის პირველ პირში გადაყვანით?

- რომელი მეტად ზემოქმედებს მკითხველზე, თხრობა პირველ თუ მესამე პირში და რატომ?

LIVEWORKSHEETS